PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სიპ - კოლეჯი "ლაკადას" საგანმანათლებლო პროგრამების - "ელექტროობა", "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და "საფინანსო სერვისები" - მონიტორინგის შესახებ დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
**თავმჯდომარე:**
ვახტანგ ბოგველიშვილი
**წევრები:**
დავით გუდაძე;
ალექსანდრე კეკენაძე;
ნანა ხითარიშვილი

*თბილისი, 2020*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: კოლეჯი „ლაკადა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ელექტროობა | პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30<br>პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 15 | - | - |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30<br>პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 15 | ინტეგრირებული - 9 | - |
| საფინანსო სერვისები | პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 | 12 | - |

III. საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 აგვისტოს №655086 ოქმი), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N985269 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სსიპ - კოლეჯის "ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ზ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია, განიხილა და ცენტრის მეშვეობით დამატებით გამოითხოვა საქმისწარმოებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დისტანციური მონიტორინგის განრიგი და დაწესებულებასთან შესათანხმებლად გაუგზავნა ცენტრს. მონიტორინგის განრიგის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს და განიხილეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელის ხელშეწყობით, ადგილზე სრულად დათვალიერდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით („ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „საფინანსო სერვისები“) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო). ექსპერტები გაესაუბრნენ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და მოდულების (მათ შორის, ინტეგრირებული მოდულების) განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს. შემოწმდა კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგლებში, გარკვეული დეტალების დაზუსტების მიზნით, მომდევნო კვირაში დაიგეგმა გასაუბრება ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის (სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“) წარმომადგენელთან, რაც განხორციელდა კიდეც ვიდეოჩართვის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების წარმომადგენელის დახმარებით, დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „საფინანსო სერვისები“ დამატება) მომზადებული დასკვნების თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად“. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტები ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“ და შედეგად, ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე „სრულად შესაბამისი“.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებამ გაითვალისწინა და შეასრულა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები:

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ელექტროობა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**
**ქვესტანდარტი 2.2**
**კომპონენტი 2.2.1 (1)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

**შესაბამისობის რეკომენდაცია:** პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე - **შესრულებულია;**

**კომპონენტი 2.2.1 (3)**

**შესაბამისობის რეკომენდაცია:** ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, იმისთვის, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში - **შესრულებულია.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“**

**ქვესტანდარტი 2.2**

**კომპონენტი 2.2.1 (1)**

**შესაბამისობის რეკომენდაცია:** სასურველია, სწავლის დაწყებამდე შეძენილ იქნას პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი - **შესრულებულია.**

## VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

## VII. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

-

## VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ელექტროობა“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ დამტკიცების შესახებ, N04/35,12.06.20. ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 14 ივლისის ბრძანება N04/46 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2<br>30 პროფესიული სტუდენტი<br>მოდულური სწავლება |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 157 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

## IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | | | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | | | |

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ელექტროობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A, B და C გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც 15 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი (ორ მიღებაზე 30, აქედან 15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულზე); დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა როგორც ინტეგრირებული მოდულებით, ასევე პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free
დოკუმენტაცია. ექსპერტთა მიერ დისტანციურად, ვიდეოჩართვის საშუალებით, სათითაოდ გადამოწმდა და დასტურდება ზემოთხსენებული მატერიალური რესურსის არსებობა დაწესებულებაში. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (შპს „სქურჰესი"; სს „ენერგო პრო ჯორჯია"; შპს „ენგურჰესი"; [redacted]). მოდულების „ელექტროტექნიკური მასალები", „მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება", „ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება" პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება დაგეგმილია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, მათ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (16 პროფესიული მსაწავლებელი) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამით განსაზღვრულია საერთო სავალდებულო, პროფესიული დადარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა" განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით. მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები.

კოლეჯის დირექტორთან და ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა საქმისწარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებას მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებმა გაიარეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

PDF Eraser Free
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტროობა“ ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი ჩართულია პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას; პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტები ვიდეოჩართვის საშუალებით გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად, ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“;
2. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.lakada.edu.ge;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

3. „სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04-50 ბრძანებით (20.07.2020);
4. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ 2020 წლის 22 ივლისის N04/55 ბრძანებით;
8. პროგრამის ბიუჯეტი;
9. ინტერვიუირება;
10. ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცების შესახებ, N04/35, 12.06.20 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2<br>30 პროფესიული სტუდენტი<br>მოდულური სწავლება |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free

## IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | | | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | | | |

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A, B და C გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც 15 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი (ორ მიღებაზე 30, აქედან 15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულზე); დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა როგორც ინტეგრირებული მოდულებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

ასევე პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია. ექსპერტთა მიერ დისტანციურად, ვიდეოჩართვის საშუალებით, სათითაოდ გადამოწმდა და დასტურდება ზემოთხსენებული მატერიალური რესურსის არსებობა დაწესებულებაში. პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „ბესტ კოპი“ და შპს „ორდუნეტ“, სადაც უნდა განხორციელდეს სასწავლო ექსკურსიები რიგი მოდულების ფარგლებში (შპს „ბესტ კოპი“: „გაცნობითი პრაქტიკა“, სწავლის შედეგი 1 – 2 სთ; „კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა“, სწავლის შედეგი 7 – 2 სთ. შპს „ორდუნეტ“: „გაცნობითი პრაქტიკა“, სწავლის შედეგი 1 – 2 სთ; „კომპიუტერული ქსელის სტრუქტურა და აგების პრინციპები“, სწავლის შედეგი 1 -2 სთ; „ბაზისური ქსელური სერვისების გამართვა“, სწავლის შედეგი 4 -2 სთ). ხსენებულ ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა, თუმცა, ხელშეკრულებების საგნის შინაარსიდან გამომდინარე (სასწავლო ექსკურსიები), ექსპერტები ამ ინფორმაციის მითითების აუცილებლობას ვერ ხედავენ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (16 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 3 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამით განსაზღვრულია საერთო სავალდებულო, პროფესიული/დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით. მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
კოლეჯის დირექტორთან და ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა საქმისწარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების გადამზადებას მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი ჩართულია პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას; პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტები ვიდეოჩართვის საშუალებით გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად, ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
2. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.lakada.edu.ge;
3. „სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04-50 ბრძანებით (20.07.2020);
4. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ 2020 წლის 22 ივლისის N04/55 ბრძანებით;
8. პროგრამის ბიუჯეტი;
9. ინტერვიუირება;
10. ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ-კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საფინანსო სერვისები“ საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისებია“ № 04/35, 12.06.20 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2<br>30 პროფესიული სტუდენტი<br>მოდულური სწავლება |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

## IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
| --- | --- | --- | --- | --- |
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | | | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | | | |

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დისტანციური საქმისწარმოებისას, ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის „საფინანსო სერვისების“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რესურსების ნაწილზე დაწესებულებას ”საფინანსო სერვისების“ პროგრამის დამატების დროს წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად ფლობა არ დასტურდებოდა. აღნიშნულ რესურსებზე (ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი (1 ცალი); ლუპა (6 ცალი); შტამპები (6 ცალი); ფულის სათვლელი მანქანა (1 ცალი)), მონიტორინგის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

PDF Eraser Free
დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, რითიც დასტურდება რესურსების ფლობა. ამასთანავე, ექსპერტთა მიერ დისტანციურად, ვიდეოჩართვის საშუალებით, სათითაოდ გადამოწმდა და დასტურდება ზემოთხსენებული მატერიალური რესურსის არსებობა დაწესებულებაში. დისტანციური საქმისწარმოებისას ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის “კრისტალი“ წარმომადგენელს. მისი განცხადებით, ორგანიზაციას აქვს მზაობა და საშუალება, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისა. გასაუბრებით დადგინდა, რომ იქ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგის („საწარმოო პრაქტიკა“) მიღწევას.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმებულია სს “ლიბერთი ბანკთან“, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ და შპს „ალტა სოფთვეართან.“ აღნიშნული მემორანდუმებიდან მხოლოდ სს “ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებულ მემორანდუმშია მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა (15 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულების მიერ პროგრამის დამატებისას მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი, წელიწადში ორ მიღებაზე. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, პარტნიორ ორგანიზაციებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამით განსაზღვრული ყველა საჭირო რესურსი აქვს საკუთრებაში. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (11 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 2 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი) და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free
დატვირთვა რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საფინანსო სერვისები“ ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი ჩართულია პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების და განვითარების მთლიან ციკლში. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას; პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტები ვიდეოჩართვის საშუალებით გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად, ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“;
2. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.lakada.edu.ge;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

3. „სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, დამტკიცებული დირექტორის მ/შ მიერ N04-50 ბრძანებით (20.07.2020);
4. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის მ/შ მიერ 2020 წლის 22 ივლისის N04/55 ბრძანებით;
8. პროგრამის ბიუჯეტი;
9. ინტერვიუირება;
10. ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

სსიპ - კოლეჯის "ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ მონიტორინგის განრიგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

PDF Eraser Free

06.11.2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------